თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 12

ქ.თელავი 4. 10. 2019 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი**
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილი თვალიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზაქარია ყარასაშვილისათვის სადებუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზაქარია ყარასაშვილისათვის სადებუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის ზაქარია ყარასაშვილის განცხადება, რომლითაც დეპუტატმა აცნობა საკრებულოს, მის მიმართ, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესახებ, კერძოდ 2019 წლის 17 სექტემბერს თელავის რაიონულ სასამართლოში, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რომელიც ეხება ზაქარია ყარასაშვილის მიმართ, სასჯელის სახედ პირობითი მსჯავრის გამოყენებას. ნანა ხვისტანმა ასევე განუმარტა კომისიის წევრებს რომ აღნიშნული გარემოება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი

თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხლის შესაბამისად წარმოადგენს, ზაქარია ყარასაშვილისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველს, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა ასევე რომ მომზადდება დასკვნაც, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ და წარედგინება საკრებულოს სხდომას.

გადაწყვიტეს: კომისიის მიერ მომზადებული დასკვნა ზაქარია ყარასაშვილსთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ, წარედგინოს საკრებულოს სხდომას ცნობად მისაღებად.

კომისიის თავმჯდომარე: **ნანა ხვისტანი**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისია

2200, ქ.თელავი, ერეკლე II გამზ. 16 ტელ: 599323778, ელ. ფოსტა: nanakhvistani167@gmail.com

დ ა ს კ ვ ნ ა

კომისიამ განიხილა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზაქარია ყარასაშვილის განცხადება იმის შესახებ რომ, მის მიმართ თელავის რაიონული სასამართლოს მიერ 2019 წლის 17 სექტემბერს განხილულ იქნა თელავის რაიონული პროკურატურის შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს ავტომობილის ექსპლუატაციისა და მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ზაქარია ყარასაშვილის მიმართ, გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ორგანული კანონის, „თვითმმართველობის კოდექსის" 43-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს წევრს ზაქარია ყარასაშვილს შეუწყდა სადეპუტატო უფლებამოსილება 2019 წლის 18 სექტემბრიდან და საკითხი, ცნობად უნდა წარედგინოს საკრებულოს სხდომას.

კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი